საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2492-02
08/09/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, 24-ე მუხლის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების მე-18 მუხლის, რექტორის 2017 წლის 18 აგვისტოს N2314-02 ბრძანებისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2017 წლის 9 აგვისტოს N13162-35 წარდგინების საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატთა 3 ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული არჩევნები ჩატარდეს 2017 წლის 15 სექტემბერს 12:00 საათიდან 16:00 საათამდე (მის:ი. ჭავჭავაძის გამზ.N32, A205).
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2017 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით მიაწოდოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სია, პირადი ნომრების მითითებით.
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს მიაწოდოს ამ ბრძანებაში ასახული ინფორმაცია და ასევე დარეგისტრირებულ კანდიდატთა სია:
   მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი- სოფიკო ზვიადაძე;
   ასოცირებული პროფესორი- ტარიელ სიხარულიძე;
   ასოცირებული პროფესორი- ნოდარ ბახტაძე.
5. უნივერსიტეტის კანცელარის დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ბრძანებაში მითითებულ პირებს, უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი